



სამეურნეო ჟურნალი

მოსავალი

(იბეჭდება ორ კვირაში ერთხელ)

ჟურნალის ფასი წელიწადში . . . 3 მან. || რედაქცია: კავკასიის სამეურ. საზოგადოება
თითო ნომერი ხელზე გასასყიდად 10 კაპ. || ადრესი: Тифлисъ, Барятинская, № 5.

წელიწადი პირველი

1909 წელიწადი.—1 ქრისტეშობისთვე.—№ 14.

შინაარსი

	კავკასიელ მეურნეთა კრების დადგენილებანი	3
ვ. რ.	რცხილაძე მცენარენი და ცხოველნი	6
ე. ი.	იოსელიანი ახალი ხანა სოფლის ცხოვრებაში	8
ვ. რ. სად რამდენი შურის მოსაფაღია და რამდენი უნდებათ	10
გ. ნ.	ნახუცრიშვილი გამსესნებელი საზოგადოება სოფელ რეაგკაში (მოს- კოვის მაზრა)	11
დ. გ.	გორთამაშვილი კვირტით მუნობა	14
<u>საყურადღებო ცნობები:</u>		
ვ. რ. ეურთუზის წამალი	16
გ. ნ. ჩინეთის მცენარე გაღდიანი	16
	განცხადებანი	16

სამეურნეო ჟურნალი მოსაკალი

(იბეჭდება ორ კვირაში ერთხელ)

ჟურნალში მონაწილეობას მიიღებენ: — ავერკინი პ., ალიბეგოვი გ., ბერეკა-
შვილი კ., გვერდწითელი პ., გოგნიევი ლ., გოგინაიშვილი ფ., დედაბრიშვილი შ., ეირანო-
ვი ს., ვაჟა-ფშაველა, იოსელიანი ე., კარბელაშვილი ე., კალანაძე ნ., ლორთქიფანიძე პ.,
ლიონიძე ა., მაკარაშვილი ნ., მოსეშვილი ი. მრეკლიშვილი გ., მკურნალინ., მურვანიშვი-
ლი შ., შქედლიშვილი ვ., მამულაშვილი მ., მაღალაშვილი მ., შიფანი დ., ნანეიშვილი მ.,
ნახუცრიშვილი გ., ნასარიძე ს., წულუკიძე ა., ედილაშვილი ზ., ღვთისაფაროვი კ., ზაალიშვი-
ლი მ., ჯაფარიძე გ., ყვარიშვილი ნ., ჩოლოყაშვილი ს., რაზიკაშვილი თ., რცხილაძე ვ.,
ხუნდაძე ს., ციმოფევეი ს., სააკოვი ა., ქარცივაძე მ.

რედაქცია მოელის სხვებიდგანაც თანამშრომლობის სურვილის გამოცხადებას.

რედაქციასთან ტერმინების შესამუშავებლად არსებობს კოლეგია, რომლის კომ-
პეტენცია რედაქციას სავალდებულოა აქვს თავისთვის მიღებული იმ იმედით, რომ
გარემოება იგი ერთის მხრით გამბედაობასა და სიმშვიდეს მისცემს შრომაში ყველა
იმათ, ვინც ქალაქ გარედ სცხოვრობენ და არ შეუძლიანთ რედაქციასთან პირისპირ
შეთანხმება რომელიმე ტერმინის ხმარების შესახებ, და მეორეს მხრით მისცემს ქარ-
თულს ენას მეცნიერებათა ყველა დარგში გარკვეულ სახიერებას.

კოლეგიაში ჯერხანობით მოწვეულ არიან: გოჯებაშვილი ი., სარაჯიშვი-
ლი ა., ჯანაშვილი მ., თაყაიშვილი ე., იოსელიანი ე., გულისაშვილი შ., ყიფშიძე გ.,
ჯაბადაშვილი ი., კარიჭაშვილი დ., ბილანაშვილი შ., დედაბრიშვილი შ., ლამბაშიძე ვ.,
აღლაძე ი., გულისაშვილი მ.

თანამშრომელთა საშუალები.

ჟურნალის შემოსავლიდან გაისტუმრება ხარჯი სტამბისა და კანცელარიისა, და-
ნარჩენი (თუ რამე დარჩა) წლის დამლევს დაურიგდებათ თანამშრომლებს პროპორ-
ციულად მათი ნაშრომისა.

დასაბეჭდად მიღებული წერილები შეიძლება რედაქციამ შეასწოროს და შეა-
მკლოს. წერილები და კორესპონდენციები, რომელნიც არ დაიბეჭდებიან, არც შე-
ინახებიან დასაბრუნებლად.

რედაქცია მზათ არის აღმოუჩინოს „მოსაკალის“ მკითხველებს ყოველ გვარი
შუამავლობა სამეურნეო იარაღებისა და მაშინების და აგრედვე ყველა სამეურნეო
ნაწარმოების შეძენა-გასაღებაში.

განცხადებები დაიბეჭდება მხოლოდ უკანასკნელ გვერდზე. ჩვეულებრივი სტრი-
ქანი (ვენური ან აკადემიური ასოთი) განცხადებისა ღირს ორი შაურა.
წლიურ აბონემენტებისათვის განცხადების ფასი რედაქციასთან შეთანხმებით.
განცხადების ფასი წინდაწინვე უნდა იყოს წარმოდგენილი.

წლის დამლევს ხელისმომწერლებს საჩუქრად დაეგზავნებათ რჩეული თეს-
ლეულობა სხვადასხვა სამეურნეო მცენარეთა საუკეთესო ჯიშებისა.

აგრედვე, თუ შეძლება ექნება რედაქციას, ჟურნალის ხელისმომწერლებს გაუგ-
ზავნის უფასოდ დამატება-ბროშურას მეურნეობის რომელიმე დარგის შესახებ.

ჟურნალი წელიწადში ღირს 3 მანეთი.

რედაქციის ადრესი: Тифлисъ, Барятинская, 5. «МОСАВАЛИ».

რედაქტორ-გამომცემელი ვ. ი. რცხილაძე



რედაქციისაგან ხელისმომწერლების საუბრადღებოდ

რედაქცია უმორჩილესად სთხოვს ყველა იმათ, ვისაც უურნალი „მოსაველი“ ეგზავნებათ თანახმად მათი სურვილისა და მომავალ იანვრამდე ღირებული 2 მანეთი კი ან სრულიად არ შემოუტანიათ, ან მარტო ნაწილი აქვთ შემოტანილი, კეთილ ინებონ და გამოუგზავნონ რედაქციას თავიანთი ხვედრი გარდასახადი.

კავკასიელ მეურნეთა კრების დადგენილებანი

კავკასიელ მეურნეთა კრებამ 15 — 24 ნოემბერს მოახდინა შემდეგი დადგენილებანი:

საქონლის მოვლა-მოწინების უმსახეობა:

1. საჭიროა რამდენსამე ალაგას დაწესდეს „სტანციები“ ადგილობრივი და კულტურული საქონლის საყოლად. ამ „სტანციებზე“ უნდა შეისწავლებოდეს საქონლის ყველა ჯიშების ავკარგიანობა ცალკე-ცალკე და მაჰი სისხლის არევით ერთმანეთში გამოიძებნოს და შემუშავდეს სააქაოდ საუკეთესო ჯიში.

2. საზღვარ-გარეთიდან გამოწერილი საქონელი ბეთალის უზუმოწმებლივ არ უნდა შემოიშვებოდეს აქ, რომ კლერქი და სხვა სატკივარი საქონლის არ გავრცელდეს.

3. დრო გამოშვებით უნდა იმართებოდეს გამოფენა და „აუქციონი“ (ვაკრობა) საუკეთესო ჯიშის საქონლისა; უნდა იმართებოდეს ხალხში საუბარი ცხოველების მოვლა-მოწინების შესახებ.

4. უნდა აღიძრას მართველობის წინაშე უშუამდგომლობა საძოვრების ხელახლად განაწილების შესახებ თანახმად დღეს არსებული მოთხოვნილებისა.

5. საჭიროა რკინის გზის სადგურებზე შიგა-და-შიგ სადგურის ცალმხარეზე გამართულ იქმნას ისეთი ადგილები, სადაც შეიძლებოდეს საქონლის გამოშვება ვაგონებიდან წყლის დასაღვეად, საქმლის მისაცემად და დასასვენებლად.

6. საჭიროა რკინის გზის სადგურებზე, შიგადაშიგ მაინც, იყოს მატყლის დასაძეკი პრესები. უნდა აღიძრას აგრეთვე უშუამდგომლობა, რომ მატყლის გადასაზიდი ფასები რკინის გზით შემცირდეს.

7. საჭიროა დაინიშნოს ამიერ კავკასიაში აქეთ-იქით სოფლებში გასავაზენ-გამოსავაზენათ სამი ინსტრუქტორი მაინც, ადგილობრივი ენების მცოდნენი, რომ საუკეთესო ყველგობოს გაკეთება ასწავლონ ხალხს.

საჭიროა გავრცელდეს ხალხში ცოდნა ბალახის დათესვის და მოყვანის შესახებ, რომ ხალხმა გაიგოს, რამდენად სასარგებლოა ეს საქმე იმისთვის.

საცადი და სამაგალითო მიწებ-რამის და სამეურნეო სწავლის უმსახეობა კრებამ დაადგინა:

უმადმალღესი სამეურნეო სწავლის შესახებ.

უმადღესი სამეურნეო სასწავლებლის დაარსება საჭიროა: 1) ადგილობრივ მეურნეობის საფუძვლიან შესწავ-

ლისათვის, 2) სწავლადამთავრებული მეურნეების მოსამზადებლად, რომელთაც შეეძლება მეურნეობის სხვადასხვა დარგებში საჭირო ცდების წესიერად მოწყობა, 4) საშუალო სამეურნეო სკოლებისთვის შესაფერი მასწავლებლების მოსამზადებლად, 5) მემამულეების და დიდი მამულებისთვის მოურავების გასანვითარებლად და მათთვის საჭირო ცოდნის მისაცემად, რაც უმაღლეს სასწავლებელს მხოლოდ მაშინ შეუძლიან, როდესაც მას ადგილობრივ პირობებში ყოფნით ყოველგვარი საჭირო მასალა ხელთ ექმნება, მით უმეტეს რომ დღეს არსებული უმაღლესი სამეურნეო სასწავლებლები იმყოფებიან ჩრდილოეთ რუსეთში, სადაც აჭაურებისათვის ძნელი ასატანი და საცხოვრებელი პირობებია, რის გამო მომეტებული წილი მოსწავლეებისა ავად ხდებიან და ზოგნი კი სრულიად ვერ ბედავენ იქ წასვლას.

საშუალო სამეურნეო სწავლის შესახებ

საჭიროა დაარსდეს საშუალო სამეურნეო სასწავლებელი საზოგადო პროგრამითაც და განსაკუთრებული სასპეციალო და სატექნიკო პროგრამებითაც. ამ სასწავლებლებში უნდა მზადდებოდნენ ინსტრუქტორები, შუათანა ზომის მამულების მოურავები და აგრედვე დაბალი სამეურნეო სკოლების მასწავლებლები.

დაბალი სამეურნეო სწავლის შესახებ

კარგი მუშების, ხელოსნების, მონტიორების მოსამზადებლად, რომელიც აუცილებელ საჭიროებას შეადგენს დღეს და არსად მათი შოვნა არ არის,

საჭიროა გაიხსნას დაბალი სპეციალური სასწავლებლები თითო მაინც რაიონში მიხედვით იმ განსაკუთრებული დარგი მეურნეობისა, რომელსაც რაიონში ადგილობრივი პირობების თანხმად აქვს აწმყო და მომავალი. ამ სკოლებს პრაქტიკული ხასიათი უნდა ქონდეთ განსაკუთრებით. საჭიროა აგრედვე სოფლის სკოლების მასწავლებელთათვის დაწესდეს სამეურნეო კურსები, რომ ვინც მოისურვებს შეეძლოს ამ კურსებზე სიარული.

ისეთივე სასწავლებლები, როგორც ვაუებისათვის იქნება, უნდა ქალებისათვისაც გაიხსნას მეურნეობის იმ დარგის შესასწავლებლად, რომელიც უფრო შეეფერება ქალებს.

წესიერად უნდა ვიცნოთ მთელი კავკასიის ოთხ რაიონად დაყოფა და ამ რაიონების შუაგულ ადგილებში სარაიონო საცადი სტანციების დაარსება.

პირველი ესეთი სტანცია უნდა იყოს დაარსებული ქ. ტფილისში და უნდა აკმაყოფილებდეს ამიერ კავკასიაში იმ ადგილების მოთხოვნილებებს, სადაც უმთავრესად ხვნა-თესვას და მებაღეობას მისდევენ, ზედმეტი ყურადღების მიქცევით ხორბლელულ მცენარეებზე, რაც აქამომდე სრულიად არაა შესწავლილი;

მეორე სარაიონო სტანცია უნდა ემსახურებოდეს იმ მოთხოვნილებებს, რომელიც აქვთ ალპიის და საზოგადოდ მთა ადგილების რაიონებს, სადაც უმთავრესად საქონლის მოვლამომწინებებს, ყველ-ერბოს კეთებას და მეფუტკრეობას მისდევენ;

მესამე რაიონად უნდა ჩაითვალოს შავი ზღვის პირზე მდებარე ადგილები.

ბი, სარაიონო სტანციით ქ. სოხუმში, სადაც განსაკუთრებული, სხვაგან არსად შესახვედრი, პირობები მეურნეობისა შესაძლებლად ხდიან კულტურას ისეთ მაღალ ღირსების მცენარეებისას, რომელნიც სხვაგან ვერსად ვერა ხარობენ ამიერ კავკასიაში;

მეოთხე სტანცია უნდა იყოს ქ. სტავროპოლში და ემსახურებოდეს სტავროპოლის გაშლილ მინდვრების და კავკასიონი მთების ჩრდილოეთ კალთების სამეურნეო მოთხოვნილებებს.

ტფილისისა და სტავროპოლის სტანციები უნდა უკეთესად იყვნენ მოწყობილნი, რომ პირველ ხანებში მაინც იკისრონ ცენტრალური სტანციის მოვალეობაც.

ამ სტანციებთან უნდა არსებობდეს **ბიურო** ყველა რაიონების მეურნეთა შეერთებულ კრებების მოსაწვევად და მათი, როგორადაც უმაღლეს დაწესებ-

ბულებათა სატეხნიკო და სხვა სასპეციალო კითხვების გარდაწყვეტაში, ყველა დადგენილების ასასრულებლად. ეს შეერთებული კრებები უნდა იმართებოდეს ყოველ წლივ ან ორ წელიწადში ერთხელ. რომ სარაიონო სტანცია რაიონში არსებულ ყველა საცად დაწესებულებასთან შეთანხმებით მოქმედებდეს, უნდა ეს სტანცია ყოველ რაიონში რაიონის წარმომადგენელ **კოლეგიას** ანუ **საბჭოს** ექვემდებარებოდეს. სარაიონო საბჭოში უნდა შედიოდნენ წევრებად საცად დაწესებულებებში მომუშავენი, რაიონის აგრონომები და აგრედვე წარმომადგენელნი ერობისა, ქალაქების თვითმართველობებისა, ადგილობრივი სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებებისა და სხვა ამ საქმის მცოდნე და სასარგებლო პირნი ადგილობრივ გამოჩენილ მეურნეთაგან.

(დასასრული იქნება)

შტენარქი და ცხოველნი

სალათას ძილი სიცხე-პაპანაქაში და ხანგრძლივ გოლვაში.

ზამთრის ძილს ცხოველებისას დიდად წააგავს სალათას ძილი ზაფხულში, როცა დიდი გოლვა და სიცხეებია.

ესეთ ძილს ეძლევიან უფრო მკურავნი, ქვემძრომნი (ხვლიკ-ბაყაყნი და გველები), მწერები და სხვ.

ესევე მიიყურება ხოლმე სიცოცხლე ორგანიზმოსი, როდესაც მას არც სიცხე და არც სიცხე აწუხებს, ხოლო დამშვევაშია ჩავარდნილი. ასე იყურებიან, მაგალითად, ლოკოკინები, რომელნიც ჩაიკეტებიან ხოლმე თავიანთ ხოკრებში, როცა შემუშავებული მათივე ორგანიზმოთი ერთგვარი ლორ-

წო გამოდის ხოკრის კარებში, ხმება და ჰკეტავს გამოსავალს.

ლოკოკინებს შიმშილით გამოწვეულ ძილში ყოფნა რამდენიმე წელიწადი შეუძლიანთ. *Helix desertorum* მაგალითად, რომელნიც ყუთის კედლებზე იყვნენ წებოთი მიკრულნი და ინახებოდნენ, ოთხი წლის შემდეგ გაცოცხლდნენ მუზეუმში.

იგივეს ამტკიცებს ჩემთან პირადად ნაამბობი ნ. მ—სა, რომელიც თავის სიცოცხლის გადარჩენას ხანგრძლივ ტყვეობაში იმით ხსნიდა, რომ „დამშვევის დროს ხანგრძლივ ძილს ვეძლეოდი და ალბად იმან გადამარჩინაო“.

გველემშანიც აგრედვე, როცა ხან-



გრძლივი გოლვისა და სიცხეების გამო გუბებები, სადაც ისინი სცხოვრობენ, შრებიან, ლამში ღრმად იმალებიან ხოლმე და ეძლევიან საღათას ძილს, ვიდრე წვიმები დაიწყობა და ხელახლად ჩადგება წყალი ნადგომებში.

ამგვარსავე მოვლენას განიცდიან ზოგი თევზები და სხვა.

ცხოველების ესეთი შეკავშირება გარემოცულ პირობა-გარემოებებთან გამოიხატება აგრედვე მათი კვერცხების სხვადასხვაობაშიაც. შემჩნეულია, მაგალითად, რომ დაფნები და მათ მაგვარი კიბომზგავსნი (cladocera) ზამთარში უფრო დიდ და მეტ ცილა-გულიან კვერცხებსა სდებენ, ვიდრე ზაფხულში. ზაფხულის კვერცხებს კიბომზგავსნი ინახვენ თავიანთ ტანზე მიკრულ პარკში, სადაც სხეულისაგან გამზადებული საკვებავით დამთავრდება ხოლმე ზრდა ამ კვერცხებისა დაბოლოს მაინც პატარებისა და თხელ კანიანებისა ზამთრის კვერცხებთან შედარებით.

პირდაპირი და არა-პირდაპირი ზედმოქმედება ორგანიზმებზე მათ გარეშე მყოფ პირობა-გარემოებებისა

ორგანიზმებზე ზედმოქმედი პირობა-გარემოებანი ორ რიგად იყოფიან: 1) პირდაპირ მოქმედნი, რომელნიც იწვევენ ამა თუ იმ განსხვავებას ორგანიზმში ფერის, აგებულების, გამრავლების მხრივ და 2) — რომელნიც არა-პირდაპირ ზედმოქმედობენ.

როცა მაგალითად სითბო-სიცივის ზედგავლენით ჭიის პარკიდგან, ამ პარკის სხვადასხვა ტემპერატურაში ყოფნის დროს, სხვადასხვა ფერის პეპელა გამოდის და საკმარისია ტემპერატურა იგი შეეცვალოთ, რომ პეპელას ფერიც იმის-

დაგვარად შეეცვალოს, ამგვარს შემთხვევაში მოვლენილი პირობა-გარემოების ზედმოქმედება ორგანიზმზე **პირდაპირია**.

ხოლო იგივე მოვლენას შეიძლება ორგანიზმებზე პირდაპირ არ ემოქმედნა, მაგრამ იმნაირად შეეცვალა გარეშე მყოფი პირობა-გარემოებანი, რომ ზოგი ამ ორგანიზმთაგან სიკვდილის გზას მისცემოდა, ამოხოცილიყო და ზოგს კი ცვლილება იგი შეეშვდინა-შეთევსებინა და გაძრიელებულ-გამრავლებულიყო. ამგვარ შემთხვევაში გარეშე მოვლენათა ზედმოქმედება იქნებოდა **არა-პირდაპირი**.

გარეშე პირობა-გარემოებათა პირდაპირი ზედმოქმედება ორგანიზმებზე

ორგანიზმზე პირდაპირ ზედმოქმედ პირობა-გარემოებებს ეკუთვნიან საქმელ-სასმელები, სინათლე, ტემპერატურა, დრო წელიწადისა და ბევრი სხვა მოვლენანი.

საქმლის ესეთი ზედმოქმედება კარგად იციან, მაგალითად, ფრინველი იადონის გამყიდევებმა, რომელნიც ნაზი ყვითელი ფერის მისაცემად ფრინველს კაიენის (სამხრეთ ამერიკა) პილპილს აქმევენ ხოლმე.

იგივე პირდაპირ ზედმოქმედებას საქმლისას ამტკიცებს ა. პიკტეს 98 ცდა, რომელიც მან 21 სხვადასხვა გვარის პეპელებზე, დაახლოებით 4695 პეპელაზე, მოახდინა და დასკვნა, რომ სხვადასხვა საქმელი, რომლითაც ჭია გამოიკვებება, ამ ჭიის პარკიდგან გამოსულ პეპელას სხვადასხვა ფერს აძლევს. საქმლით გამოწვეული სხვადასხვაობა გადადის ერთი თაობიდან მეორეზე, მესამეზე და ამნაირად შთამომავ-

ვალთა ისეთ კუთვნილ თვისებად ხდება, რომელიც ხელმეორედ მოსასპობლად ორგანიზმში ისეთისავე სიშორით ზედმოქმედებას თხოულობს.

საქმლის გამოცვლას შესძლებია არა მარტო ფერის ასე თუ ისე გამოცვლა, არამედ გამოწვეულა მით უფრო ღრმა ცვლილებანი. საქმლის ნაკლებობას ქიაობაში, მაგალითად გამოუწვევია პეპელის ტანის ერთი ორად დაბატარავება, შეუცვლია სხეულის თვით აგებულობაც კი. პეპელის ჭიის დამშევის, როგორც ზოგნი ფიქრობენ, მამალი პეპელის გამრავლება მოსდევს შედეგად. ხოლო ზოგის აზრით კი სქესი კვერცხშივეა გარკვევით ჩასახული და შედარებითი რიცხვი დედალ-მამალი პეპელისა საქმლის სხვადასხვაობით ვერ შეიცვლება.

გარდა ამისა, საქმლის გამოცვლა სცვლის ორგანიზმის გამრავლების გზასაც და უნარსაც.

სინათლის პირდაპირი ზედმოქმედება ორგანიზმებზე უფრო ადვილი გასაგები და შესამჩნევია. ვინ არ იცის, მაგალითად, რა სახით იცვლება მტენარე ან ცხოველი ჩაკეტილი სიბნელეში.

არანაკლებ ზედმოქმედობენ ორგანიზმებზე წელიწადის დრონი და მათთან შეკავშირებული ტემპერატურა.

ოთხფეხთა და ფრინველთა, მცურავთა და ქვემძრომთა კანის, ბალნის, ბუმბულის შეცვლა ზამთარში და ზაფხულში; სხვადასხვა მწერთა და კიბომზგავსთა გაზაფხულზე დადებული კვე-

რცხები იმავე ზაფხულში გამოსაჩეკად შედარებით იმ კვერცხებთან, რომელთაც ზამთარი უნდა გაიყვანონ და შემდეგ გამოიჩენენ, სულ ამ ზემოხსენებულ ზედმოქმედებას ჰმოწმობენ ბუნებაში.

მაგრამ ყველაზე შესანიშნავ მაგალითს წელიწადის დროსთან და ტემპერატურასთან შეკავშირებისას იძლევიან ის ცდები, რომელიც დორფმისტერმა და შემდეგ ვეისმანმა გააკეთეს.

პირველმაც და მეორემაც გამოიკვლიეს და დაამტკიცეს ცდით, რომ სიცვის ზედმოქმედებით ზაფხულის ჭიის პარკზე, რომლიდგანაც პეპელა უნდა იმავე ზაფხულში გამოფრინდეს, პეპელა გამოვა ისეთ მოყვითალო ფერისა, როგორიც უნდა ჰქონოდა ზამთარ გამოვლილ პარკის პეპელას. აგრედვე ზამთრის პარკიდგან სითბოს ზედმოქმედებით შეგვიძლიან ისეთი ფერის პეპელა მივიღოთ, როგორიც უნდა ყოფილიყო ზაფხულის პარკიდგან გამოსული.

მაღალ-დაბალი ტემპერატურის ზედმოქმედებით შეიძლება ისეთი სხვადასხვა ფერის პეპელა მივიღოთ, რომელიც ან ძვირი შესახვედრია ან სულაც არ არის ბუნებაში.

ტემპერატურის ზედმოქმედებით გამოწვეული ცვლილებანი ისევე გარდაეცემიან შთამომავლობას, როგორადაც საჭმელით გამოწვეულნი.

ვ. რცხილაძე



ახალი ხანა სოფლის ცხოვრებაში

„მოსავლის“ 9 №-ში დაბეჭდილი იყო პატარა სტატია პროფ. ა. ფორტუნა-ტოვისა ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიებში ნახნავ-ნათესის რაოდენობის შესახებ. ეს სტატისტიკური, ცნობები გარეგანი შეხედულებით თითქოს მაგდენს არაფერს ეუბნება ჩვენს მეურნეს, მაგრამ ნამდვილათ კი ჩვენი ცხოვრების გარემოება მკაფიოდ იხატება ამ ცნობებით და დიდათაც საყურადღებოა არიან. ამ ციფრებიდან სჩანს, რომ მთელ ტფილისის გუბერნიაში წლითიწლობით იხვნება და ითესება ყველა გვარი ხორბლეულობა 233763 დესეტინა. თითქოს ეს თვალ გადუწვდენელი ნახნავი უნდა მოკარბებითაც კი ყოფნიდეს ჩვენ ხალხს, მაგრამ როცა ამ მინდვრებს ხალხის რაოდენობას დაუპირდაპირებთ გუბერნიაში, ადვილად შეამჩნევთ რა მცირედი ნახნავი მოდის თვითვეულ სულზედ. მთელ გუბერნიაში წასულ 1908 წლამდინ ერთ მილიონზედ ცოტა მეტი ხალხი უნდა ჩავთვალოთ. ამ ერთმა მილიონმა ხალხმა რომ დაიყოს 233763 დესეტინა, თვითვეულ მათგანს დღიურის მეოთხედზედ ნაკლები ნახნავი შეხვდება 2337630: 100000=0,23. ამ ნახნავებიდან პურიით ითესება მხოლოდ 13869 დესეტინა, მაგრამ ჩვენ მაინც 233763 დესეტინას ვანგარიშობთ, რადგან სხვა ხორბლეულობა—სიმინდი, ქერი, ჭვავი, ასლიზოგ ალაგს გუბერნიაში პურობას უწევენ ხალხს. თითოეულ სულზედ ამ საერთო ნახნავ-ნათესიდან მოდის 0,23 დესეტინა., ანუ თითქმის მეოთხედი დღიურისა. რომ ადამიანმა წლის განმავლობაში პურის ნაკლებუ-

ლობა არ იგრძნოს, ოცი ფუთი მაინც უნდა ჰქონდეს. მერე, განა შესაძლოა რომ ეხლანდელი ჩვენი სამეურნეო ტენიკით დღიურზედ 80 ფუთი მოვიყვანოთ? მთელ ტფილისის გუბერნიას ოცი ფუთის ნორმით რომ ვიანგარიშოთ, წელიწადში 20 მილიონი ფუთი პური უნდა. ორთა შუა მოსავალი ყველა ხორბლეულისა, სიმინდს გარდა, გვაძლევს დესეტინაზედ 50 ფუთს, მაშ 233763 დესეტინიდან მოვა სულ წელიწადში 12 მილიონი ფუთი. როგორც სჩანს მაშ ყოველ წლივ ხალხმა 8 მილიონი ფუთი პური, ან სულზედ რვა ფუთი, უნდა შემოიტანოს სხვა გუბერნიებიდან, რომ თავი გამოიკვებოს. პურის გარედან შემოტანა სამძიმო არ არის, თუ ყიდვის ძალა მოგდევს. მთელი ინგლისი $\frac{4}{5}$ თავისთვის საჭირო პურისა სხვადასხვა ქვეყნებიდან შეაქვს. გარედან პურის შეტანა არა თუ არ აწუხებს, სასარგებლოთაც მიაჩნია. გარედან შეტანილი პურით ქ. ლივერპული აძლევს ნიხრს მთელ მსოფლიო ბაზარს. ჩვენი გარემოება სულ სხვა არის: ინგლისს ადვილად შეეძლო მოეყვანა ერთ დესეტინა მიწაზედ 120 ფუთი პური, მაგრამ მის შემოტანას სხვა მხარედან მაინც არჩევს. ჩვენ კი ვინაჩრობით ძლივს მოგყვავს 50 ფუთი და დანაკლის ვციდულობთ უღონობისა გამო. ჩვენში უგზო-უკვლოლობის გამო ტფილისში რომ 1 მან. 20 კ. იყოს ფუთი, თელავში შესაძლოა 2 მან. 50 კ. გახდეს. ამათის წლის წინადაც ვაპობდით და ეხლაც ვიტყვი რომ ხალხმა იმატა და წესრიგი ხვნა-თესვისა კი შეუცვლელი

შერჩა და არც ნახნავების გადიდება შეუძლიან, რადგან ადგილის უქონლობით ვერსაით გაუწევ გამოუწევია. თუ გვინდა რომ ტფილისის გუბერნიას არ აკლდეს პური და თავისივე მოყვანილით იკვებებოდეს, ნახნა-ნათესის მოსავალს უნდა ვამატებინოთ. ეს ჩვენ ხელთ არის, მხოლოდ საჭიროა თესლსა და ნახნავების გაპატივებას ყურადღება მივაქციოთ. ცილის წამება იქმნება, რომ ჩვენ მეურნეზედ ვსთქვათ თესლისა და პატივის მნიშვნელობა არ იცისო, მაგრამ სხვადასხვა მიზეზების გამო როგორღაც ბეჩავათ ეკიდება ამ საქმეს. მჩატე თესლი უღონოა, სრული მარცვალი კიდევ გამოფიტულ მიწაში საზრდოს ვერ იპოვის კარგი თავთავის გასაკეთებლად. როგორ უნდა დამზადდეს თესლი, ესეც იციან თითქმის. მხოლოდ საქონლის ნეხვის მეტი სხვა სასუქი კი არ იციან. საძოვრების უქონლობის გამო ახლა საქონელიც შემცირდა. მეტი ღონე არ არის, ხელოვნურ სასუქებს უნდა მივმართოთ: ვვარჯილას, სუპერფოსფატსა ტომასშლაკს და სხვა. მარტო ჩვენ არა ვართ ამ გაჭირებაში, ამგვარმ დგომარებაში სხვა ხალხიც ყოფილან და არიან კიდევაც, მაგრამ საცა მიხვდნენ და ხელოვნური სასუქი იხმარეს, მოსავალი ერთი ორად მიიღეს. ყველამ კარგად ვიცით, რომ გამოფიტული მიწა რა რიგადაც უნდა იყოს მოხნული დიდ მოსავალს ვერ მოიყვანს, ამიტომაც ჩვენი ნახნავეს მოსავალი ყველგან კლებულობს, რაზედაც ყველა ჩივის. ჩვენ რომ აქამდინ მიწა-წყალი რიგიანად მოწყობილი გვქონოდა, იქნება ჩვენი სამყოფი პური ჩვენვე მოგვეყვანა, ესლა კი გარედგან შემოტანა გვჭირდება. ჩვენს გუბერნიაში

რომ მუშაობდეს ქარხნები, ზაოდები, პურის შემოტანა გარედგან ნაცვლად ამ ქარხნების ნაწარმოებისა ადვილი იქმნებოდა, მაგრამ იქ, საცა არც ქარხნებია და პურიც აკლიათ, სხვა მეურნეობის ნაყოფი — ღვინო, მატყლი, ერბო და სხვა მაინც უნდა გაიტანონ ბაზარში, რომ პური შემოიტანონ. ქართული გუთანი, როგორც ვსთქვით ზემოთ, ეხლანდელ დროში მძიმე და გამოუსადეგარია. რაში იხატება ეს გამოუსადეგარობა? აი რაში.

ოჯახს რომ ცალკე შეეძლოს გუთნის გატანა, სულ რა ცოტა 100 მანეთი მაინც უნდა დახარჯოს. რვა უღელსა ხარ-კამეჩის ყიდვა და ყოლა ესლა ადვილი არ არის, მაგრამ რა კიდევ შეეძლოთ, არც ამით ვაკეთდება საქმე. გუთანს საქონლის გარდა ოთხი ხუთი კაცო უნდა. გარდა ამისა საკუთარი გუთნით, რაც უნდა ეცადოს კაცი, ორმოცდა ათ დესეტინაზედ მეტ ნახნავეს ვერ იქონიებს. რა მოსავალი უნდა მისცეს ამ 50 დესეტინამ? ღალა და ყოველი სხვა ხარჯი რომ გამოვიდეთ მაგდენი არაფერი დარჩება. მაგრამ ამ ნაკლებვანებასთან ქართულ გუთანს ერთი სიკეთეც სჭირს. თუ ძალიან არ აძლობს, არც იმდენად ამშვეს, რომ ხალხს ხენათვისთვის თავი დაენებებინა. მარტო-ხელ უსაქონლოსაც კი შეეძლო გუთნის პატრონთან მიდგომით 1—3 დღე ეხნათავისთვის. ეს საშუალება არ აწყვეტინებდა სოფელთან კავშირს ამ უკან ჩამორჩენილ უხარო ნაწილს ხალხისას, რომელიც ამიტომ არა სტოვებდა თავის კერას. ქართველი მუშა ქალაქებში ყოველთვის მცირედი იყო. ხო-



ლო ეხლა კი ეს შეკავშირება მიწას-თან და მეურნეობასთან ცოტა არ იყოს ჩატყდა და იწყობა სოფლის ცხოვრე-

ბაში ახალი ხანა. ვისაც ღონე შესწევს, გაურბის სოფელს.

ე. იოსელიანი

სად რამდენი პურის მოსავალია და რამდენი უნდებათ

რომელი დარგიც გინდა აიღო სა-სოფლო-სამეურნეო, რუსეთს სხვა ქვეყნებთან შედარებით ყოველთვის უკანასკნელი ადგილი უჭირავს სამწუხაროდ.

ისეთი მკირედი მოსავალი, როგორიც რუსეთშია ხოლმე, არცერთმა სხვა ქვეყანამ არ იცის.

წლებადელი წლისთანა მოსავალს, მაგალითად, რომელსაც ჩვენ კარგ მოსავლად ვსთვლით საშუალოდ, სხვა ქვეყნებში მხოლოდ დაბალ, ხრიოკ ადგილებში და ისიც უმოსავლო წლებში მიიღებენ ხოლმე.

აი, როგორია სხვადასხვა ქვეყნებში საშუალო წმინდა მოსავალი ხორბლისა (თესლი რომ გამოვაკლოთ) და კართოფილისა ერთ დესეტინაზე (ფუთობით):

ქვეყნები.	პური.	ქერი.	სომინდი.	ფეტვი.	ქაფი.	შერი.	ლობი, ცერცვი, მუსულა	უგრუნელი.	კართოფილი
ინგლისი.	124	117	—	—	—	108	115	—	655
ბელგია .	111	121	—	—	—	67	125	125	67 840
დანია . .	—	98	—	—	—	101	87	73	39 671
გოლანდ.	111	140	—	—	—	88	118	121	53 907
შვეცია .	100	84	—	—	—	76	83	98	— 602
ნორვეგ .	99	105	—	—	—	103	107	116	— 1105
საფრანგ .	70	67	81	64	64	61	58	—	640
გერმანია.	77	79	—	—	—	56	74	48	40 463
ავსტრია.	64	58	81	59	60	56	—	33	452
ვენგრია .	74	64	88	53	62	72	51	32	459
ისპანია .	75	57	—	—	—	96	72	113	—
ამ. შ. შტ	50	67	109	—	—	42	63	—	40
კანადა . .	62	83	—	—	—	62	98	81	74 460
ავსტრალ	40	65	123	—	—	71	—	—	550
იაპონია .	75	58	—	90	85	—	75	42	—
რუსეთი .	28	36	56	32	33	29	28	14	279

აქედანა სჩანს რომ რუსეთში უმთავრესი ხორბლეულობის და კართოფილის მოსავალი 3—4 ჯერ ნაკლებია, ვიდრე სხვაგან.

რომ ვიანგარიშოთ რამდენი ხვდება ეს მოსავალი თითო ადამიანს სახელმწიფოებში, მივიღებთ:

ამერიკის შეერთ. შტატ.	66,9	ფუთი
დანიაში	50,0	„
კანადაში	47,0	„
შვეციაში	31,3	„
საფრანგეთში	30,2	„
ავსტრო-ვენგრიაში	27,4	„
გერმანიაში	24,2	„
ავსტრალიაში	24,1	„
ბელგიაში	23,7	„
რუსეთში	22,4	„
გოლანდიაში	17,3	„
ნორვეგიაში	14,3	„
ინგლისში	12,5	„

მაშასადამე, რუსეთში ერთ ადამიანზე მოდის 22,4 ფუთი ხორბალი, ხოლო რადკან ნაწილი ამ მოსავლისა საზღვარ გარედ გადის გასასყიდად, ამიტომ თვით სახელმწიფოში ხალხს თითო სულზე გაცილებით ნაკლები რჩება 22,4 ფუთზე.

ჰყიდიან ხორბალს სხვა ქვეყნებიც — ამერიკა, კანადა, ავსტრო-ვენგრია, მაგრამ ისინი ყიდიან რაც მეტად აქვთ. ისეთი ქვეყნები კი როგორც ინგლისი, ნორვეგია, გოლანდია, ბელგია, გერმანია, საფრანგეთი პურს ყიდულობენ და ამ გზით შეივსებენ დანაკლის.

გამსესხებელი საზოგადოება სოფელ რუჟავკაში (მოსკოვის მაზრა)

ამ სახით, რომ მივიღოთ მხედველობაში, რომელი სახელმწიფო რამდენ პურს ყიდის და რომელი რაჰდენს ყიდულობს, გამოვა რომ თითო სულ ადამიანს წელიწადში ხვდება პური ფუთობით:

ამერიკის შვერთ. შტატ. 61,9 ფუთი	
დანიში	57,0 "
კანადაში	38,2 "
საფრანგეთში	33,6 "
შვეციაში	31,3 "
გერმანიაში	27,8 "
ბელგიაში	27,2 "
ინგლისში	26,4 "
გოლანდიაში	24,4 "
ავსტრო-ვენგრიაში	23,8 "
ნორვეგიაში	23,5 "
ავსტრალიაში	23,4 "
რუსეთში	18,8 "

რუსეთს, ამგვარად, ყველა სახელმწიფოებში უკანასკნელი ადგილი უჭირავს. თითო სულ მცხოვრებელს ხვდება 18,8 ფუთზე ბევრით ნაკლები—დაახლოებით 12,5 ფუთი, საიდანაც ცოტარამ მაინც თავის პირუტყვ საქონელსაც უნდა გაუზიაროს ხოლმე.

აქედან ცხადია, რომ რუსეთში ხალხს საჭმელი პური იმაზე ნაკლები ჰქონია, რაც საჭიროა, მაშ აღარც ის უნდა გვიკვირდეს, რომ ყოველწლივ 1000 სულ ადამიანში რუსეთში 35 სული იხოცება, როდესაც რომ გერმანიაში კვდება ათასზე 26, საფრანგეთში—22, გოლანდიაში და შვეიცარიაში—20, ინგლისში—18, შვეცია-ნორვეგიაში—17.

„ჩრ. 3“ ვ. 6.

გამსესხებელი საზოგადოება სოფელ რუჟავკაში (მოსკოვის მაზრა)

სამეურნეო იარაღის ყიდვას განიზრახავს გლეხი, თუ ვენახის გაშენებას, ყველა ამ შემთხვევაში ფულია მისთვის საჭირო. არა აქვს გლეხს ფული, არა აქვს მას აგრეთვე ხალისიც საქმის გაკეთებისა. სიღარიბისაგან გულგატეხილი და იმედ-დაკარგული იგი ხშირად თავს ანებებს თავის მამულს და ქალაქებისაკენ გარბის ლუკმა პურის საშოვნელად. იმავე დროს უპატრონოთ მიტოვებულ იმის სახლკარს კი, რასაკვირველია კეთილი არ ეყრება: სახლი ექცევა, ვენახიც უხმება და ბოლოს ამ აოხრებულ მამულს ან იმისავე მეზობელი, ან სულ სხვა უცხო პირი ინარჩუნებს. თითონ კი უსახლკარ-უმამულო სხვის მონად ხდება სიკვდილამდის.

მაშ რამ უნდა ააცდინოს ჩვენი გლეხი დალუპვის გზას, ვინ უნდა გაუწოდოს ხელი მას გაჭირებაში?

პასუხი ასეთი გახლავთ: ყოველგვარ გაჭირებაში ისევე გლეხებსვე შეუძლიანთ ერთმანეთის შველა და თავიანთი დაცემულ მეზობლის ფეხზედ წამოყენება. თუ რაში მდგომარეობს ეს ურთიერთა შორის შველა-დანმარება ამას სოფელ რუჟავკაში (მოსკოვის მაზრა) გლეხებისგან დაარსებული ბანკი გვასწავლის. აი ამ ბანკის მოკლე ისტორია: 1899 წელს მოსკოვის მაზრის ერობის აგრონომმა არა ერთხელ შემოუარა თავის რაიონის სოფლებს, სადაც იგი ჰმართავდა სოფლის ყრილობებს და ამ ყრილობებზედ ბანკის სარგებლიანობაზედ

და მის დაარსებაზედ ემუსაიფებოდა ხალხს. აგრონომის რჩევა-დარიგება ყველაზედ უფრო რუჯაკელ გლეხებს მოუვიდათ ჭკვაში. პირველად კი, როგორც მოგვხსენებათ, ბანკის ხსენებაზედ და მის დაარსებაზედ ბევრმა გლეხმა უნდობლობა და ცივი უარი გამოაცხადეს.

მართალია, სახელმწიფო ბანკი უარს არ გვეტყვის, ფულს მოგვცემენ, წამლებებიც ბევრი გამოჩნდებიან, მაგრამ საქმე გასესხებული ფულის განაღდებააო, გაიძახოდნენ გლეხები. მაგრამ მშიშარა და უნდო გლეხებს გარდა, გულადებიც ბევრი გამოჩნდნენ, რომლებმაც გადასწყვიტეს აგრონომის რჩევა-დარიგების სისრულეში მოყვანა. შეიკრიბნენ ადგილობრივი სკოლის შენობაში, მოიწვიეს თავიანთი მასწავლებელი აგრონომიც. აგრონომმა ამ კრებაზედ უფრო უკეთ გააცნო ყველა დამსწრე ბანკის დაარსების საქმეს; აქვე შეადგინეს თხოვნა, ხელი მოაწერეს წესდებას და გაგზავნეს სადაც საჭირო იყო.

თხოვნის მიღებისათანავე სახელმწიფო ბანკმა გლეხებს 1000 მანეთის მიცემა აღუთქვა; ერობაც თავის მხრივ 500 მანეთს შეჰპირდა გლეხებს. მხოლოდ თავნი ვალი ამხანაგობას თავის მოგებიდან უნდა გაესტუმრებინა. მიიღეს თუ არა პასუხი, გლეხებმა მაშინათვე გამართეს კრება, ამოირჩიეს გამგეობის 3 წევრი, მალე ფულიც მიიღეს და ამნაირად გაიჩარხა საქმე. მაგრამ ამით როდი დაბოლოვდა ბანკის ბედი: ბევრი თუ თანაუგრძობდნენ ამ საქმეს, ბევრიც მტრულის თვალით უყურებდნენ მას.

„დაიცადეთ, ფულის გადახდის დროც დაგიდგებათ და მაშინ ნახავთ თქვენს სეირს, როდესაც თქვენ სარჩო-საბადე-

ბელს აგიწერენ და გაგიყიდინაო“, უკინებდნენ მოწინააღმდეგე გლეხები. რა თქმა უნდა ამგვარმა მითქმა-მოთქმამ ბევრი გლეხი შეაშინა, მაგრამ შემოხსენებულმა ამხანაგობამ სძლია ყოველგვარ გაქირვებას და თავისი გონივრული საქმის წარმოებით ბოლოს დიდი ნდობა და პატივი დაიმსახურა თავის მეზობლებში.

მაგალითად, დადგა თუ არა გაზაფხული, ამხანაგობამ თავის წევრებს ერთი ვაგონი შვრია გამოუწერა, რომელიც იათათაც დაისვენს და ღირსებითაც მალა იდგა, ვიდრე ბაზარში ნასყიდი. ამხანაგობამ ეს შვრია ნისიათ დაურია თავის წევრებს, რომლებსაც შემოდგომაზედ ისევე უნდა მიეწყათ ამხანაგობისთვის. ამ მაგალითის შემდეგ ბევრი გლეხი ჩაეწერა წევრად.

ამნაირად, რაც დრო გადიოდა იმდენად ამხანაგობაც იზრდებოდა. მაგალითად 1902 წელს ამხანაგობა შესდგებოდა 127 წევრისაგან; 1905 წ.—365 წევრისაგან და 1908 წელს კი ამხანაგობაში 622 წევრი ითვლებოდა. ზოგიერთა წევრებს თუ დროზედ შეჰქონდათ კასაში თავიანთი გადასახადი, ბევრიც აგვიანებდნენ, მაგრამ ფული მაინც არ იკარგებოდა და ბოლოს ისევ უბრუნდებოდა ამხანაგობის კასას.

ამჟამად თითქმის ყველა ნდობის თვალთ უყურებს ამხანაგობას. ამას გვიმტკიცებს რიცხვი წევრებისა—ახლა 500 წევრამდის ჰყავს რუჯაკის გამსესხებელ საზოგადოებას.

გარდა ამისა, ამხანაგობისადმი ნდობა კიდევ იმაში გამოიხატება, რომ იქაური გლეხი, იშოვნის თუ არა ერთი ორიოდ გროშს, მაშინვე ამხანაგობის კასაში მიარბენინებს შესანახად.

1908 წ. 1 იანვარს ამგვარად მიბარებული ფული 1310 მან. 55 კპ. იყო კასაში.

მაშ თუ ამხანაგობას ენდობიან გლეხები, ცხადია, სახელმწიფო ბანკი და ერობაც ყოველთვის მზათ უნდა იყვნენ ხელი ვაუმართონ ნდობა დამსახურებულ ამხანაგობას. მართლაც, 1902 წ. სახელმწიფო ბანკმა კიდევ 3000 მან. ასესხა ამხანაგობას. ერობამაც თავის მხრივ 2500 მ. მისცა მათ აბრეშუმისა და საწყობების გასამართავად.

რადგანაც ადგილობრივი ჩარჩები ხშირად სარგებლობდნენ გლეხების გაჭირებით, ყიდულობდნენ მათგან ნახევარ ფასათ შვრიას, პურს და სხვ. და ბოლოს ერთი ორათ ისევ იმათზედვე ჰყიდნენ ხოლმე, ამისათვის ამხანაგობა თავის წევრების ყველა ნაწარმოებს იღებდა ზემოხსენებულ ამბრებში და საწყობებში, აძლევდა მათ შესაფერ სესხს, და გაზაფხულზედ კი ისევ იმათვე ასყიდებდა იათათ.

ამნაირადვე ექცეოდა ხელოვნებსაც. ესეიგი იგირავდება იმათგან ხის ავეჯს, აძლევდა სესხს და ინახავდა იქამდის, ვიდრე ფასები აიწევდა ამ ნაწარმოებზედ.

მაშასადამე, ამხანაგობის დანიშნულება არის, სესხის მიცემა.

გაჭირვებული წევრი ამხანაგობისა იღებს ფულს და აძლევს ხელწერილს, რომ ნასესხებ ფულს ის დროზედ დაუბრუნებს ამხანაგობას.

ახლა ძალიან ძნელად შეჭვდებით ისეთ დიდ მემამულეს, მექარხნეს ან საზღვარ გარეთელ მამულის პატრონ გლეხსაც, რომლებიც თავიანთ საქმის საწარმოებლად ფულს არ სესხულობდნენ.

დიდ მემამულეებისთვის ანუ მექარხნეებისთვის როგორც სახელმწიფო ისე კერძო ბანკებიც მუდამ მზად იყვნენ ფულით დახმარება გაეწიათ.

გლეხები კი სამწუხაროთ დღემდის მოკლებულნი იყვნენ ამ საშუალებას.

ვინ უნდა იყოს იმის თავდები, რომ გლეხისგან გატანილი ფული, არ დაეკარგება ამხანაგობას?

ამის თავდები, ჩემო მკითხველო, გლეხის მარჯვენა და იმის მამულია. გლეხი ისესხებს ფულს, მოახმარებს ხენათესვას, ვენახს და ბოლოს მიწდვრის ან ვენახის მოსავლიდან გადაიხდის.

აქედან ცხადია რომ ყველა წევრს ერთნაირად არ მიეცემა სესხი, არამედ იმდენი, რამდენიც საჭირო იქმნება იმის მეურნეობისათვის. როგორც ვხედავთ, ამხანაგობის საქმე არც ისე ადვილია, რომ მისი წარმოება ყველას შესძლებოდა. ამისათვის გამგეობის წევრებად გლეხები არჩევდნენ თავიანთი წრიდან ცოტათ თუ ბევრად შეგნებულ და მკოდნე ადამიანებს.

თუმცა წინად ძალიან ეძნელებოდათ ანგარიშების წარმოება, მაგრამ ამასაც მალე შეეჩვივნენ და დღეს სოფლის სკოლაში სწავლა დაითავრებული გლეხი ჩინებულად აწარმოებს ამხანაგობის ანგარიშებს.

როგორც რუჯუკის გამსესხებელი საზოგადოების ანგარიშებიდანა სჩანს, ამხანაგობას რვა წლის განმავლობაში 65,772 მ. 82 კ. გაუცია სესხათ. შესატანი დარჩენილა მხოლოდ 7676 მანეთი.

ახლა ზემოხსენებული ამხანაგობა 5000—6000 მან. ელოდება სახელმწიფო ბანკიდან.

ამნაირად რუჯუკის გამსესხებელმა საზოგადოებამ დიდი სახელი გაითქვა

მთელ რუსეთში. ამჟამად ყველა გლეხი კარგათა გრძნობს რომ მხოლოდ ერთად შეერთებით და შეერთებული ძალით ადამიანს შეუძლიან დასძლიოს სიღარიბე და ყოველნაირი გაჭირება.

მკითხველო, ამ მოკლე წერილიდან მაშ ჩვენ ის დასკვნა შეგვიძლიან გამოვიყვანოთ, რომ ჩვენი გადატაკებული და გზა-აწეწილი გლეხობა, მაშინ დააღწევს სიღარიბეს თავს, შეუყვარ-

დება თავის მიწა-წყალი, როდესაც ისინი შეერთდებიან ერთად, შეადგენენ სხვადასხვა ამხანაგობას და ყველა ერთად, როგორც ერთი კაცი, გაუძღვებიან თავიანთ საზოგადო საქმეს.

თუ რანაირად უნდა მოეწყოს გლეხების ამგვარი ამხანაგობები, ამას ჟურნალი „მოსავალი“ შემდეგში აუხსნის თავის მკითხველებს.

ვინაშეღვინი.

გ. ნახუცრიშვილი

კვირტიო მყნობა

ჩვენ სოფლებში გავრცელებულია მარტო ერთი გვარი მყნობა გახეჩვით: გარეულ უჯიშო ხეხილს პანტას, მაჟალოს და სხვა გადუხერხავენ ღეროს, გააპობენ, დაჩლუნგებული წალდით მოამზადებენ კალამს და ჩაურკობენ გაპობილ უჯიშოს ღეროში და შეახვევენ რითაც მოხვდებათ.

ესეთი გზა ხეხილების მოსაშენებლად ძრიელ ძნელი და გძელია. ჯერ დარგე და ახარე გარეული უჯიშო ნერგი სადაც გეხერხება და გსურს, შემდეგ ელოდე, როდის გაიკეთებს იმოდენა ღეროს, რომ მისი გაპობა შეიძლებოდეს... ახლა რამდენი ნამყენი მოსცდება, ვერ იხარებს და ნერგად დარგული გარეული უჯიშოც ამაოდ დაიკარგება, რადგან თავგადაკრილი გასაპობად სრულიად განმება და ხელმეორედ მყნობა მასზე აღარ შეიძლება და სხვა...

ამ 4—5 წლის ლოდინში კი, კვირტიო რომ გვემყნო, ნაყოფსაც კი მივიღებდით.

ამიტომ გახეჩვით მყნობას კვირტიო მყნობა უნდა ვამჯობინოთ, მით უმეტეს რომ კვირტიო მყნობა სანერგედ

დარგულ უჯიშო პანტა-მაჟალოზე მეორე წელსვე შეიძლება; თუ არ იხარებს, შეიძლება მეორედ, მესამედ და მეტჯერაც ვამყნოთ იგივე სანერგეზე; დღეში ერთ ადამიანს შეუძლიან 50-მდე ნამყენი გააკეთოს. ყველა ამას და გარდა კვირტიო ნამყენი სიმაგრით, სილამაზით და ყოველი სხვა მხრით ათასწილად სჯობია გახეჩვით მყნობას.

ავწეროთ როგორ უნდა ვამყნოთ კვირტიო.

ჩვენი ტყეები სავსეა პატარა მაჟალოს, პანტის, ტყემლის, და სხვა ნერგებით, რომლებიც მშვენიერად გამოდგებიან სამყნობლათ, თუ კი კარგად ამოვთხრით და გადმოვრგავთ ჩვენ ბაღში; უფრო კარგი იქნება, რასაკვირველია, თუ კი ჩვენ თვითონ მოვკრფავთ თესლს, და გავაკეთებთ პატარა სანერგეს. თესლი შეიძლება ისეც დაითესოს, როგორც ჩვენში მწვანელეულობას სთესვენ. ერთი წლის შემდეგ პატარა ნერგები უნდა ვადარგათ ახალ ადგილას, ნახევარ არშინზე ერთი-მეორიდან. კარგია თუ ვადარგვის დროს პატარა ფესვებს ცოტათი წაავაკრიოთ თავებს და ახალი ნეხვის ფაფაში ჩაუსვე-

ლებთ. ორი წლის შემდეგ, როდესაც ნერგები დამსხვილდებიან (კარანდაშის სისხო ძალიან კარგია), შეგვიძლიან ვამყნოთ კვირტით. თუ ამ პატარა ნერგებს ქერქი კარგად არა სძვრებათ, უნდა ქარბად მოვრწყოთ და დავაცადოთ ორი სამი დღე.

ზედ სამყნობად უნდა კარგი ჯიშის და კარგი მსხმოიარე ხეხილი ავარჩიოთ და მოვაქრათ მას წლევანდელი ყლორტები, რომელნიც ჯერ არ განხევებულან. ამ ყლორტებს უნდა ჩამოვაცადოთ ფოთლები, მხოლოდ ფოთლების ყუნწები კი ზედ ყლორტზე უნდა დარჩეს. ეს ყუნწები მყნობის დროს ბევრს გვიშველიან და შემდეგშიც გავაგებინებენ, იხარა თუ არა კვირტმა. თუ შენახვა ან გადატანა არის სადმე საჭირო ამ ყლორტებისა, უნდა ბებერ კიტრში ან კარტოფილში ჩაუტკოთ; ასე ერთ კვირამდე არ გაფუჭდებიან.

შესახვევ მასალათ ყველას სჯობია ზღვის ბალახი „რაფია“. დანა ყველანაირი გამოდგება, ოღონდ ძალიან მჭრელი უნდა იყოს, უნდა პარსამდეს. უნდა მოვიმზადოთ პატარა სოლივით გაკეთებული ჩხირი, ქერქის გადასაწევად მოსაწევად და კვირტის ჩასარქობად. ცაცია ხელში უნდა ავილოთ ყლორტი და მარჯვენაში დანა, ამოვქრათ კვირტი ისე, რომ ზედ მარტო ქერქი, **ლაფანი**, აჰყვეს და არა მაგარი ხის ცილა, ნაფოტი. მთელი ამოქრილი ნაწილი ერთ გოჯჯზედ მეტი არ უნდა იყოს, კვირტი შუაში უნდა მოყვეს. გამოქრილი კვირტი ჯერ ყლორტს არ უნდა ავაცადოთ, სანამ უჯიშოსაც შესაფერ კრილობას არ გაუკეთებთ. უჯიშო უნდა ჩრდილოეთ მხარეზედ; მიწის

ახლოს დავსეროთ დანის წვერით ორ ადგილას ისე კი, რომ ქერქის მეტი არაფერი ვავქრათ. ერთხელ უნდა ჩამოუსვათ დანა ზევიდგან ქვევით ერთი გოჯის სიგრძეზედ ($\frac{3}{4}$ ვერშოკის დაახლოვებით), მეორეც იმის თავზედ გარდი-გარდმოდ ორჯელ მოკლე მანძილზე გაუსვათ, ასე რომ ჯვარი გამოვიდეს თავმოქრილი (T). შემდეგ გათლილი ჩხირით ზევიდგან უნდა გადაუწიოთ ქერქი, და შიგ კვირტი ჩავსვათ, ისე რომ კვირტი ზევითკენ იყურებოდეს. ეხლა შეხვევადა აკლია. რაფიით შეხვევის შემდეგ ყველა კრილობა დაფარული უნდა იყოს, მხოლოდ თვითონ კვირტი და ყუნწი უნდა ჩანდნენ. შემდეგ უჯიშო ნერგს ყველა წვერები უნდა ავაქრათ, რომ უფრო კარგად იხაროს კვირტმა, რადგან უფრო მეტი საკვებავი მასალა წავა იმისკენ. ათი დღის შემდეგ თუ ყუნწი გაყვითლდა და ჩამოვარდა, კვირტი ნახარია, თუ გაშავდა და მაგრათ არის, გამხმარია და ახლად უნდა ვამყნოდ მეორე მხარეს ან ზევით ცოტათი. კვირტით იმ ვარაუდით უნდა ვამყნოთ, რომ ჩვენმა ნამყენმა იმ წელს მარტო იხაროს და კი არ გაიშალოს. თუ გაიშალა და ყლორტი გამოიტანა, ის დამწიფებას ვერ მოასწრობს, ზამთარისთვის ისე მწვანე დარჩება და გაიყინება. ნამყენმა შემოდგომამდე უნდა იხაროს და კვლავ გაზაფხულზედ ყლორტი მოგვცეს. მყნობა სჯობია 1 მკათათვიდგან 15 ნენკენისთვის, როდესაც ფოთოლი თავის ფორმას მიიღებს და კვირტიც დამწიფებულია.

გაზაფხულზედ, როდესაც ნამყენი ყლორტს გამოუშვებს, უჯიშო ნერგს მთლად უნდა წავაქრათ თავი ნამყენის ცოტა ზევით, ოთხი თითის სიმაღლეზე

და ყლორტი ზედ მივაკრათ. თუ ნამყენს ზემოდან უჯიშო წერგს ყლორტები გამოაჩნდა, უნდა ჩამოვაცალოთ, რომ ნამყენი არ დაასუსტოს. ნამყენი იმ წელსვე გაიზრდება ერთი ან ორი

არშინი და მზადაც იქნება დასარგავით, სადაც გსურთ. თუ დავაცდით კიდევ ერთ წელიწადსაც და გაეხსნავეთ, უფრო კარგი იქნება ბოლოს.

დ. გორთამაშვილი

საეურაღლებო ცნობები

ყურთუხის წამალი. ხშირად ცხვარს, უფრო ზამთრობით, უჩნდება ქეცი, სახელად **ყურთუხი**, რომელიც ბალანს (მატყლს) აყრუვინებს.

წამალი:

აიღეთ 5 თუნგ წყალზე შაბაბანი. 1 გირ. თამბაქო (მახორკა). . . . 1 კონა.


მოხარშეთ (1 საათი უნდა იხარშოს) და თბილი წაუსვით ერთხელ, სადაც ქეცი აქვს. ყურთუხი ერთ კვირაზე გაივლის და ცხვარი შორდება.

ვ. რ.

ჩინეთის მცენარე გაოლიანი. ყუბანის ოლქის ერთ ყაზახს, რომელსაც რამოდენიმე ძირი გაოლიანისა ჰქონია დათესილი, შემთხვევით მისი ნორჩი ყლორტი უნახავს გემოთი, რომელიც ძალიან ტკბილი გამომდგარა. ამის

შემდეგ მოუჭრია და საცდელად ხელის საქაჯავით გამოუჭაჯავს წვენი, რომელიც კარგად უღუღებია ცეცხლზე; დუღილის შემდეგ წვენი გასქელებულა, ფერით და გემოთი ნამდვილ თაფლს დაჰმსგავსებია. ეს ხელოვნური თაფლი, მაშინათვე 18 კაპეიკად გაუსაღებია თავის მეზობლებზედ. ამის დანახავზედ სხვებსაც საღერდელი აჰშლიათ და დღეს, როგორც გადმოქცევს სამეურნეო გაზეთი „крестьянское земледелие“, ზემოხსენებულ ოლქში ბევრი მისდევს გაოლიანის თესვას. ყაზახები ირწმუნებიან, რომ 1 დესეტინა გაოლიანიდან კაცს 1000 მანეთის თაფლი შეუძლიან გამოხადოს. ფურჩიცი არ იკარგება უბრალოდ. საქონელი გემრიელად შეექცევა გაოლიანის ტკბილ ფეროქებს, მარცვალი კი როგორც ადამიანისთვის, ისე საქონლისთვის ნოყიერ საკმელს წარმოადგენს თურმე.

გ. ნ.



გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა ნ ი

ამერიკული ვაჟის სანაერბე

სამეურნეო ჟურნალი

კლტ-ქგურული

მოსაპალი

ქ. ქუთაისში

მიიღება ხელისმომწერა

სანერგე მდიდარია ეოგელნაირი ჯიძის ვაზებით და ამ მსრევ პირველი ადგილი უჭირავს მთელს რუსეთში.

1910 წლისათვის

მსურველთ გაეგ საფენებათ პრეისკურანტი და განმარტებანი უფასოთ.

ჟურნალი გამოვა

იმავე პრეზრამით.

რედაქ.-გამომცემელი ვ. ი. რცხილაძე